განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

,,ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით (№1324-რს 13.10.2017წ.) უქმდება ეროვნული უშიშროების საბჭო, შესაბამისად ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქართველოს ორგანული კანონი ,,ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ”.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, ,,ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებიდან (№1324-რს 13.10.2017წ.) გამომდინარე უქმდება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. ,,ნორმატიული აქტების შეახებ” საქართველო კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით თანახმად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია(გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს. გამომდინარე აქედან იმისათვის, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ორგანული კანონი ,,ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ” აუცილებელია ამ კანონის მიღება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებას გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტზე საშულოვადიან პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის გაუქმების შედეგად.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის გაუქმების შედეგად მასში დასაქმებული პირებიდან ბიუჯეტში მისაღები საშემოსავლო გადასახადის სახით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის (პროგრამული კოდი 03 00) დაფინანსება გათვალისწინებულია 1.8 მილიონი ლარით, რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს (2019-2021) აღნიშნული უწყების დაფინანსება ასევე გათვალისწინებულია წლიურად 1.8 მილიონი ლარით. შესაბამისად, კანონპროექტის მიღება გამოიწვევს შესაბამისი პერიოდიდან შესაბამისი ხარჯების შემცირებას სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის (პროგრამული კოდი 03 00) მომუშავეთა რიცხოვნობა განსაზღვრულია 35 ერთეულით, შესაბამისად კანონპროექტის მიღებას ფინანსური გავლენა ექნება შესაბამის პირებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.